№ 263 დეკემბერი 11, პარასკევი 1892 დეკემბერი 11, პარასკევი № 263

გაზეთი ღირს

თოვე	მან.	კ.	თოვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა-დასაბეჭდად უნდა მიემართონო: თბილისში რედაქციას, ეკუიაში, ავშვალის ქუჩაზედ, გარანეოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელიარიას, სთოვად-ზუბაური ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულ�ერიგი სტრქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 საპოლიტიკო და საალიტერატურო გაზეთი 1877—1892

მთავრობის ნება-დართვითი, ტფილისში დან

თუ შესაძლებელი აღმოჩნდა, მერე მიიღებენ სკოლაში.

ტფილისის საგუბერნიო მთავრობამ უკვე მისწერა სოფლის აღმინისტრაციას და სთხოვა, სია შეადგინეთ დედათა სქესის იმ უსინთლოთა, რომელნიც სოფლად აღმოჩნდებიან, და მათი მოშუმბანიც გამოგვიგზავნეთო.

*** კავკასიის საიმპერატორო საეკლესიო საზოგადოება ჰბეჭდავს თავის წიგნთ-საკავის ახალს კატალოგს. წიგნთ-საკავში მრავალი ძვირფასი წიგნი მოიპოვება და ამიტომ ეს კატალოგი ფრიად საჭიროა.

*** თელავში შესდგა დრამატიული დასი ქართველ არტისტებისა. ეს დასი მთავრობასა სთხოვს, თელავში წარმოდგენების გამართვის ნება მოგვეცეო.

*** ერთს შეძლებულ კაცს განუზრახავს ტფილისში გამართოს დარბაზი, სადაც საჯაროდ გაიყიდება ვაჭრობით ნივთები. ამ დარბაზში გასასყიდად მიიღებენ კომისიით ყოველ გვარ ძვირფასს ნივთებს და ოჯახის ავეჯსაც გასასყიდად.

*** ბულონის უკანასკნელ გამოფენაზედ კ. გ ადანაის არყის ქარხანამ (ქუთაისშია) ბრონძის მედალი მიიღო.

*** ოზურგეთი: მიქელ გაბრიელის სამამასახლისოდგან 5 დეკემბერს მოგვიგიდა საკვირველი ამბავი. ხსენებულ საზოგადოებაში ვიღაც ბოროტგამზრახველებს გადაუწვავთ ახალი ეკლესია. ეს ამბავი იმ წამსვე მთავრობას აცნობეს.

*** თუდო-წმანდა (გორის მაზრა): 28 ნოემბერს აქაური მემამულე გორს წავიდა, რაღაც საქმეების გამო, და თავისი სახლი ერთის გლეხ-კაცის სახლობას ჩააბარა. შუაღამისას მიუხტა ამ სახლობას ერთი ბოროტმომქმედი თავის ამხანაგებითურთ და გაძარცვა სახლი: წაიღო ვერცხლეული და თამასუქებიც-კი. ეს ვაჟბატონი უცვნია კიდეც გლეხს. რა-

---

ში ეხმარებოდა ბეჟანს, კვირა-უქმე დღეს, თუ ბეჟანს სტუმრები ჰყავდა, ხელს უწყობდა და ემსახურებოდა, ვენახისა და ხეხილის გაშენებაში ჰშველოდა და სხვა; სამგიეროდ ბეჟან შეშას, წკნელს, საბალახოს, ხან საყანე მიწასაც აძლევდა დათიას.

დათიას უფროსი ქალიშვილი, ქრისტინე, ერთი იმ მშვენიერ ქმნილებათაგანი იყო, რომლის მზგავსი ერთ სოფელში ერთი გამოერევა, ან ორი. „დათიეის ქრისტინე ჩვენი სოფლის თვალია, თვალი“-ო! ამბობდნენ მეზობლები. რა თქმა უნდა, დათიას და მის მეუღლე მარიკასაც თავი მოსწონდათ ქრისტინეთი.

— დედაკაცო, დეინახე, დღეს სულ ჩვენი ქრისტინესკენ ქონდენ თვალი და კითხულობდნენ, ვინ არის ი ლამაზი ქალი,—სიხარულით ეუბნებოდა ეკკლესიიდგან, ან სხვა შეკრებულობიდგან დაბრუნებული დათია თავის მეუღლეს.

— შენ იმ დღეს უნდა გეყურებია, იმ დღეს! ქალი დეეიბადე ამას ქვიაო, ყველა ამას ჩიოდა, ეუბნებოდა ქმარს პასუხად თავის ქალიშვილის ქებით აღტაცებული მარიკაი.

სილამაზეს გარდა, ქრისტინე ისე-

გორც ამბობენ, მთელმა სოფელმაც იცის, ვინც უნდა იყოს ჩვენის მემამულის სახლის გამძარცველი. გამოძიება, ამ იდეა, იმის ამხანაგებსაც აღმოაჩენს.

*** ს. ნორეო (ტფილისის მაზრა): მკითხველს ეცოდინება, რომ ს. ნორიოში გაიმართა სახალხო ააფ-ფასიანი ბიბლიოთეკა ბ-ნთ ალ. და ან. კალატოზიშვილების მეცადინეობით. წარსულს 29 ნოემბერს ადგილობრივმა მღვდელმა მ. ანდრიაშვილმა და მასწავლებელმა გ. ფარადაშვილმა, წერვის შემდეგ შეჰკრიბეს ეკკლესიის გალავანში ორასამდე კაცი. შეკრებილს ხალხს მასწავლებელმა აუხსნა მნიშვნელობა ახლად დაარსებულის ბიბლიოთეკისა, განუმარტა, თუ რა დიდს სარგებლობას მოუტანს ბეჭავს გლეხს წიგნების კითხვა. მასწავლებელმა მშვენიერად დაასურათა, რა ბედნიერად სცხოვრობენ ევროპაში გლეხნი იმის წყალობით, რომ ყველამ, დიდმა და პატარამ, წიგნი იცის და სწავლას არ არიან მოკლებულნი. დასასრულ, მასწავლებელმა უთხრა, რომ, თუ თქვენც გულ-მოდგინეთ იკითხავთ წიგნებს, იმათებრ ბედნიერად იცხოვრებთო, რადგან ქართველი კაცი თავის ბუნებრივის ნიჭით სრულიადაც არ ჩამოუვარდება ევროპელთაო.

შემდეგ მ. ანდრიაშვილმა წაუკითხა გაზეთ „მწყემსიდან“ წმ. მ. ანტონ მარტყოფლის ცხოვრება, რომელიც ითვლება ს. ნორიოსა და მარტყოფის მფარველად. ბ-ნმა ფარალაშვილმა წაუკითხა ილია ჭავჭავაძის „დედა და შვილი“ და „დიმიტრი თავ-დადებული“. კითხვა ამ პოემებისა დასრულდა შესაფერის განმარტებით.

ხალხს დიდად მოეწონა წაკითხული და მადლობა გადაუბედა, როგორც მასწავლებელსა და მოძღვარს, ისე ბიბლიოთეკის დამაარსებელს.

*** ქ. შუშა: გაზეთ „ნორ-დარს“ სწერენ: ამ დღეებში თათრების სასაფლაოსთან ავაზაკები დაეცნენ ერთს სომეხს, წისქვილიდგან მომავალს, და უნდოდათ გაეძარცვათ. სომეხი არ

თი ღვთისნიერი, ისეთი რბილის ხასიათისა და ტკბილის ენის პატრონი იყო, რომ მშობლებს, დებს, ძმებს, მთელ ჯალაბობას განსხვავებით უყვარდათ, ოჯახის სულად და გულად მიიჩნდათ.

იასონს კარგა ხანია უცემდა გული ამ ლამაზ მეზობლისთვის, უნდოდა, როგორც თითონ ეძახოდა ამ საქმეს, „ერთი ხელში მოგდება“. მაგრამ ესეც გამოცდილებით იცოდა იასონმა, რომ სოფლელი გლეხის ქალი, ზოგი სულ უწინამდეგოდ დანებდება კაცს, მაგრამ უმეტოსობაკი არაფრის გულისთვის არ უღალატებს თავის უმანკოებას და ნამუსს. ქრისტინე ერთი ამ უკანასკნელთაგანი იყო,—დიდ განძად მიაჩნდა თავისი ნამუსი და ქალწულობა.

იასონმა დაიწყო დათიასას ხშირ-ხშირად სიარული. ხანდახან მთელს დღეს აღამებდა იქ. დათია და მისი მეუღლე ცუდს არას ჰხედავდნენ ამ სტუმრობაში და ამიტომ სასიამოვნოდაც მიიჩნდათ, თუ-კი ისეთი ძვირფასი მეზობელი, როგორიც, მათის ფიქრით, იასონი იყო, იმათს ოჯახში მისვლას იკადრებდა. ამასთან კიდე იასონ მარიკაის „ძუძუ ნაჭმი“

იყო. მართალია, იასონს ეს „ძუძუ ნაჭამობა“ არც-კი ახსოვდა, თითო-ორჯელ ბევრ მეზობლის ქალს უკმევია თავისი ძუძუ ამ პატივცემულ აზნაურის შვილისთვის; დედაც ხუმრობით ხანდახან ჩამოუთვლიდა იასონს გლეხის დედაკაცების სახელს—„ესენი არიან შენი დედები, შენი ბავშობის დროს შენთვის ძუძუ უმეტეიათ“-ო, იასონსაც ბევრი უცინია ამ ხუმრობაზე—„უფ, უფ რამდენი დედები მყოლია“-ო. მაგრამ ამით ამპარტაევანი აზნაურშვილი მართლა ნათესავად და თავისიანად ხომ არ ჩასთვლიდა ვინაცა გლეხის დედაკაცებს. ამ გვარ „ნათესაობას“ მხოლოდ გულუბრყვილო გლეხის დედაკაც მარიკასთვის ჰქონდა მნიშვნელობა,—„შენი საკადრისი არ არის, მარა დედა-შვილობით გაგიბედავ“-ო, ამ სიტყვებით ხშირად მიურთმევია მარიკას იასონისთვის კი ყურძენი, მსხალი, ვაშლი, ხან ცხელ-ცხელი ხაჭაპურიც. დიდხანს დადოდა ამ გვარად იასონ დათიასას. მაგრამ არ იქნა, ჯერ ვერას გახდა ქრისტინესთან. მორცხვი ქრისტინე უფრთხოდა იასონთან მარტო დარჩენას და ლაპარაკს. მართალია, მას

ხსვა-და-ხსვა კუთხისაკენ მცოდნე კაცი; ე) შეგროვონ კოლექცია იმ წიგნებ-წიგნაკებისა, რომელნიც კავკასიის მეურნეობის შესახებ დაწერილია. ვ) სასურველია, რომ ჩიკაგოს გამოფენაზე კავკასიის წარმომადგენელად გაიგზავნოს კავკასიის ბუნებისა და მეურნეობის მცოდნე კაცი, რომელმაც გაიცნოს ამერიკელებს ჩვენის ქვეყნის ნაწარმოები. კოლექციების შესადგენად და გასაგზავნად პეტერბურგს კომისიას გამოუნგარიშნია 1,500 მანეთი ხარჯი, რომლის $^2/_3$ ახლავე უთხოვნია მთავრობისთვის. მაგრამ 1 დეკემბერს საზოგადოებას მიუღია დეპეშა პეტერბურგის კომისიის თავმჯდომარე ბ-ნ ჩერნიაევისაგან, 500 მანეთზე მეტს ვერ მოგცემთო, და 1 თებერვალამდე ყოველივე ჩიკაგოს გამოფენაზე გასაგზავნი ექსპონატები პეტერბურგს უნდა იყოს გამოგზავნილიო.

კრებამ დაადგინა: კომისიის ვრცელ, პროგრამას ვერ ავასრულებთ ამ ცოტა ფულით და, რაც გასაგზავნი გვქონება, ახლავე შეკრიბოთ აქეე, ტფილისში, კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხის ნაწარმოები, რაც ბაზარში მოიპოვება, და მხოლოდ ის გავგზავნოთო; კერძო მეურნეთა და მწარმოებელთა-კი, ვისაც სურს ჩიკაგოს გამოფენაზე ნაწარმოების გაგზავნა, თითონ იზრუნონ ამ საქმისათვისაო.

კრებამ გადასწყვიტა, გამოჩენილის მეცნიერის პასტერის 70 წლის იუბილეის გამო, განსაკუთრებული კრება მოახდინოს 15 დეკემბერს და პასტერს დეპეშით მიულოცოს.

მესამე საგანი ამ კრებისა იყო დიდად საყურადღებო მოხსენება უფროსის აგრონომის ვ. ნ. ბეევსკისა: „მინდვრის თაგვების გაწყვეტა“. ბ-ნმა ბეევსკიმ სთქვა, მინდვრის თაგვი ბაქოს გუბერნიაში, მუღანსა, შემახიის მაზრაში და ბევრს სხვა ალაგას ძლიერ გამრავლებულიაო. სამეურნეო საზოგადოებამ რამე უნდა იღონოს თაგვების მოსასპობლად. საბერძნეთში პროფესსორ ლეფურისმიერ გამოგონილ თაგვის სახადის ბაცილებით თაგვები ერთიანად გაწყვიტესო. ამიტომ საჭიროა, ასე-

---

შემდეგ, რაც იასონმა დათიასას სიარული დაიწყო, ქრისტინეს გულშიაც დაიბადა რაღაც ერთგვარი თბილი გრძნობა, გული სთხოვდა სადედან ჩუქად მიინც ემზირა, ემზირა იასონისთვის, მაგრამ ასეთი საიდუმლო-საკვრეტი თილისმა არსად იყო, ისე-კი ცხადად ყმაწვილის კაცის ჭვრეტა და დაახლოება, ქრისტინეს ჭკუით, „არ იყო კაი საქმე“ და ამიტომაც თავს შორს იჭერდა ამ გვარ საქმისაგან. მაგრამ რამდენადაც ქრისტინე შორს გაურბოდა იასონს, იმდენად უფრო და უფრო უძლიერდებოდა ნდომა ქრისტინეს „ხელში მოგდებისა“.

ერთ დღეს ქრისტინე მარტო დარჩა შინ,—სხვები საცაღა წასულიყვნენ. ყმაწვილი ქალი ნელ-ნელა ჭკერაედა რაღაცას და თან ოცნებაში გართული დაბალის ხმით ღიღინებდა:

„დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს,
თავი ყველას მირჩევნია,
„ერთი ვინმე სულიერი
თლად ქვეყანას მირჩევნია“.

— ვინა, ქრისტინე, ვინ არის ი ბედნიერი? სიცილით შეიღაპარაკა კარებში ამ დროს იასონმა და შევიდა ქრისტინესთან.

ამ მოულოდნელის სტუმრობით ქალი დაიბნა, გაწითლებული წამოხტა ზეზე თავის საკრავიანად, ერთით თითქო გაქცევაც დაეპირა, მაგრამ მოაგონდა, რომ მის მეტი შინ არავინ იყო მასპინძელი და სტუმრის მარტო მიტოვება ურიგობა იქნებოდა. თავ-ჩაღუნული, გაწითლებული გაჩერდა ფეხზედ, მაგრამ სტუმრის მიპატიჟებას, ან ხმის გაცემას-კი ვერ ჰბედავდა.

— რა არის, ქრისტინე, ისე გეშინია ჩემი, ვითამ-და კაცის მჭამელი ვიყო! არ ვიცი რა მიწყენინებია შენთვის, რომ ხოხობსავით მემალვი? უთხრა თავისებურის მომსყიდველ ტკბილის კილოთი იასონმა.

— რა ვქნა, რას მიკვეთ? მორცხვად ჩაილაპარაკა ქრისტინემ და კიდევ უფრო გაწითლდა.

— რას უნდა გიკვეთდე? შენს გამეტს ყველას უხარია ჩემი აქანაი მოსვლა. შენ, გეტყობა, გწყენს. სულ მონდურავსავით ხარ ჩემთან. რა არის, ჩვენც გავცეთ ერთმანეთს ხმაი; ვნახოთ, იქნება, კაი მეგობრები შევიქნეთ ბოლოს.

— რა მეგობრები? თითქო უცბად წამოსცდა, თორემ არ უნდოდა კი-

შეჰქმნეს ერთი ამბავი, აქ არ შეიძლება მიცვალებულის დასაფლავებაო. ჭირისუფალთ მაინც დაჰმარხეს მიცვალებული; ებრაელთ მიჰმართეს თხოვნით მთავრობას, ამოაღებინეთ მიცვალებული ამ ადგილიდგან და სხვაგან გადაატანინეთო. მოვიდა კომისია, მოხელეთა და ექიმთაგან შემდგარი, ადგილის შესამოწმებლად. ექიმებმა საჭიროდ არ დაინახეს მიცვალებულის ამოღება; მხოლო საჭიროაო, ბლომად დაეყაროს მიწა და დაესხას წამლებიო. საქმე ასე დაბოლოვდა, მაგრამ ეხლა, როგორც ამბობენ, მოწერილობა მოსულა უმაღლესის მთავრობისაგან, უსათუოდ უნდა გადასვენებულ იქმნას იმ ადგილიდგან მიცვალებულიო. აუწერელია საბრალო მიცვალებულის ქვრივისა და სხვა ჭირისუფალთა მდგომარეობა. გარდა ხარჯისა, საშინლად მოქმედებს იმათს გონებაზედ ზნეობრივად ეს მოსალოდნელი გარდასვენება მიცვალებულისა ერთის ადგილიდგან მეორეს. „სიკვდილი სხვისიც გვინახავს, მაგრამ ამისთანა სიკვდილი არავის მოსვლიაო*, გაიძახიან ტირილითა და გოდებით. მართლაც, რომ ცუდი სიკვდილი! და ვითომ სასანიტარო მხრით-კი უფრო მავნებელი არ იქნება მიცვალებულის ხელის ხლებაო, თუ მართლა ხოლერით არის მკვდარი? რომ ყოფილიყო რამ მავნებელი, აგერ მესამე თვეა, რაც დამარხულია მიცვალებული, განა აქამდის არ გამოჩნდებოდა? თუ მაინცა და მაინც ეშინიათ, ისევ ადგილობრივვე მიიღონ ლონის-ძიება, მოახდინონ რიგიანი დეზინფექცია, დააყარონ ბლომად კირი, დაასხან წამლები და ნეღარ „გაჯახირებენ“ ისედაც გაჯახირებულს მიცვალებულს და ნუ შეუბღალავენ მის ჭირისუფალთ ისედაც შებღალულს სარწმუნოებრივს გრძნობას!..

მეორე საყურადღებო ამბავი ის გახლავსდ, რომ სუჯუნის ტაძარში, რომელიც ერთ დროს საკათედრო ტაძარი იყო სამეგრელოს ჭაონდიდელთა და, მაშასადამე, კერა და აკვანი ქართულის მწიგნობრობისა და

რუსეთი

ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი ორიოდე სიტყვა პეტერბურგის დედათა კურსების შესახებ. მოგვყავს კიდევ რამდენიმე ცნობა გაზ. „С.-Петерб. Вѣд.“-იდგან, შესახებ ამავე კურსებისა: რუსეთის მთელ იმპერიაშიო, ამბობს გაზეთი, ერთად-ერთი დედათა უმაღლესი სასწავლებელია. ეს სასწავლებელი აგერ 14 წელიწადია არსებობს ამავე სასწავლებლის დამხმარებელ საზოგადოების წყალობით. სამის წლის წინად ამ სასასწავლებლის მზრუნველობა იკისრა საერო განათლების სამინისტრომ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სასწავლებელს იგივე საზოგადოება ჰპატრონობს და ასაზრდოებს. წარსულ წლის ანგარიშდგანა სჩანს, რომ ამ სასწავლებელზედ დახარჯულა 44,716 მ.; შემოსავალი იყო: სწავლის ფასი 26 მან., სუბსიდია საერო განათლების სამინისტროსაგან 3,000 მანათი და პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობისაგანაც 3,000 მანეთი; სულ— 32,000 მან. დანარჩენი 12,716 მ., დაჰხარჯა დედათა სასწავლებლის დამხმარებელმა საზოგადოებამ, რომელმაც ეს ფული დიდის შრომითა და გულ-მოდგინებით მოიპოვა. ასეთის ხარჯის გაწევა ყოველ წლივ უძნელდება საზოგადოებას.

საქმე ის არის, რომ დედათა კურსების მსმენელთა რიცხვი თითქმის ერთი-ორად შემცირდა. ამის მიზეზი ჯერ სწავლის ფასის მომატებაა (ამ ჟამად 50 მანათის მაგიერად 100 მ. იხდევნიენენ) და მეორე მიზეზიც ის არის, რომ კურსების იმ მსმენელთ, ვისაც პეტერბურგში ნათესავები არა ჰყავთ, ვალდებულ ხდიან სასწავლებელთან დაარსებულ საერთო სახლში (общежитіе) იცხოვრონ. ამ სახლში-კი ამ ჟამად მხოლოდ 50 ქალისთვის არის ადგილი.

საჭიროა ამიტომ, რუსეთის განათლებულმა საზოგადოებამ ამ საქმეს მომეტებული ყურადღება მიაქციოს და შეძლებისა და-გვარად დაეხმაროს ამ სასწავლებელს, რომელიც აგერ მეხუთმეტე წელიწადია არსებობს და იმდენად რიგიანადაც მოეწყო კიდეც, რომ თავრობამაც ყურადღება მიაქცია და შეძლებისამებრ შემწეობა აღმოუჩინა.

უცხოეთი

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. გამუდმებულ შეიარაღებას, თითქმის ქუდზე კაცის დაძახებას და საომრად მზადებას მხოლოდ ომით თუ მოეღება ბოლო, თორემ სხვაფრივ წარმოუდგენელია, რით უნდა გათავდეს ეს ატაცება. ომი იმდენად მოსალოდნელია, რომ შვეიცარიის საერო საბჭოს გადაუწყვეტია, მიჰმართოს ყველა ერს და, თუ მოხერხდება, ერთი შორის ხელშეკრულებაც იქმნას დადებული, რომ ომის დროს სასწავლებლის შენობას, მუზეუმს და სხვა ამ გვარ მეცნიერებისა და ხელოვნებისთვის გამოსადეგ დაწესებულებას უმტესის გაფრთხილებით მოექცნენ, ვიდრე პრუსიელები მოექცნენ პარიეის მუზეუმეს 1870 წ. როგორ გაოხრეს პრუსიელებმა ამ მხრივ პარიეი, როგორ აიკლეს იქაურობა, როგორ გაზიდეს ყველა, რაც-კი ძვირფასი იპოვებოდა და რის წაღებაც-კი შესძლეს, ეს ყველამ იცის. ველურ ფანატიკოსებს ვერ აპატია კაცობრიობამ ალექსანდრიის წიგნთ-საცავის დაწვა. ხოლო ახლა, ჩვენს დროს თუ ამისთანა რამ იჩენს თავს, ეგ ცხადი დამამტკიცებელი იქნება იმისი, რომ ეს დიდად თავ-მოწონებული კულტურა გარეგანია, რომ ჩვენც ისევ ველურნი ვართ და, თუ გაჭირდა, ისევ ველურად, თავისებურად მოვექცევით, ქველებურად, და აღარც მეცნიერებას დავზოგავთ, აღარც ხელოვნებას—სულ მუსრს ავადენთ, ჩემის მტრის მეცნიერება და ხელოვნებაც-კი არ ვარგა და ვისთვის რა საჭიროაო?

წვრილი ამბავი

პარიეში ბევრი ასარებული ეურნალ-გაზეთი ამეკრძალა. მაგალითად, ერთს გაზეთს სათაურად აქვს: „ეურნალი გლეხკეთისეთის“. სელის-მოქმეწარლებნი ამ გაზეთისა, მხოლოდ გლეხნაა. ეს გაზეთი ეოველ დილის თაეის სულ-მოქმეწარლებს ატე�-ბინებს: დღეს ამა და ამ ალეგეს ნათლობაა, აქ ქორწეილია, აქ ქალეთეო და სხვა. ამაკე გაზეთის ერთს განეოფილებაში ეოველ დღე ამეკრ-დება სია პარიეის მდიდართა და ქველ-მოქმედთა კაცებისა. იქაკე სწერია, თუ რომელ სასთზედ უფრო მოასხეარსებენ ამათი ნახეა და მოწეალების მიღება და სხეა, ამ გვარი ეკლეხკეთისეთის გამოსადეგი ცნობა.

— არც ინგლისი ჩამოუკარდება სოფრანგეთს ასარებულის გაზეთებით. ბევრი ისეთი გაზეთი ამეკრძალა ინგლისს, რომელიც სელის-მოქმეწარლებს ამითი ეაზეთეს, ეასეკ ე�დრნენ, ეასეკ ჭეშარდნა, ეასეკ ეაზეკ-ეურეს რამე დაგემარეთეთ, ჩვენ გა-ზეკეკეთ, ოღონდ ჩვენი გაზეთი ტეონ-დეთ გამოწეარდეთ. ეკეკი არ ეარის, სელის-მოქმეწარლებიც ბევრი ჭეკეს ასეთს გაზეთს. ამას წინედ ტარსეის ასდო ოეანეს გზაზე დიდი ეაზდეურეა მოსდა და ბევრი სალსა ამსხეარნდა. ამ ეაზ-დეურების დროს ერთს მოკლულ კაცს ეკიბეკეში ეაზოეეს მთელი გროვა ამ ხარ გაზეთებისა. გამოიანეარაშეს და ადმოჩენილა, რომ სხეა-და-სხეა გაზეთებიდგან 36,120 მანეთი ერგებოდა.

— „North American Rewiew“-ი ერთს ასარებულს ჩრეკეას ეაძლეკს ეკეკეს სასეკლმეწიფოს: ბაკი დაკადოთ სალიტერატეურო ნაწერებსაო; ეინც ბეკრს დასწერს, დიდი ბაკი გადაეასდეკინოთო. გაზეთი ამბობს: „ეოველ სასეკლმეწიფოს საწ�დაეაინახეკ თამბაქოსა და მაგარ სასმელებს ბაკი დაეკადოთო. ჩვენმა სუკეკნემ ისეთი ასდი ნაწარმოება დაწეკადა, რომელსაც დიდ საეჭეროებად ვერ ჩაეთეკდით. ასეთი ნაწარმოება—სალიტერატეურო ნაწერები და მათ შორის ეაფრ მოთხრობები, ეოკკე ფანტასტიური ოგეკეკ-ბრეკეი და ანდდასდი, სეკდოეეფრად დაწერადი რომანები... ეკეკეს ამ გვარს ნაწარმოებს, ეაფრეო არ იქნება, ბაკი დაკადოთო.

— გლადსტონმა სთქვა: ჩაგმა და დასხეარეს „მოდა“, ძლიერ ამასინჯეს ეკეშმარიტ მშეკეიერებსა. ამიტომ ძლიერ კარგი იქნებოდა, ჩაგმა-დასხეარეს „მოდა“ გაკეაკარდესო. ეს მით უფრო სასეურეველია, რომ „მოდას“ ორკეთარი წინ-მსკეკლობა და განეთარება არ ეტეობა: რაც 30 წლის წინედ იყო, იგიკე შემოაქეთ ასდ „მოდთო“ და, ეგონენთო, იმასეკ შემოიღეკეს 30 წლის შემდეგეტ. ასდს ეკრანეურს ეკრ იგონეკეს და მხოლოდ ასეთს ტანასამოსსს იცმენ, რაც წინადეტ ეკმარიათ. „მოდის საქმე“, გლადსტონის აზრით, ეასსნება იმით, რომ ერთეკეარობა ადამიანს ეკეზეზდება, ადარ მოსწონს, და სტდიდობს, ‘ასდი რამ გამოეეონოდა.

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენს გაზეთს სუფლებით უფლებიდენი მადლობა გამოეუცხადო ბ-ნ ოსეფ კაკაბაძეს, რომელმაც მაკეანეთის სკოლის (გუშინდელ) სასარგებლოდ შეკრება 18 მანეთი ფეფდი. დიდს მადლობას ეუძლესდეს ბატონ ამოთეს, რომელთაც ხსენებულს სკოლას შემწეობა აღმოუჩინეს. ეი შემოწირეველთა სიაც: ალეკსანდრე სასათეეველი 1 მ., ოსეფ კაკაბაძე 2 მ., ეკატერინ დარნაკ 2 მ., ილია კაკაბაძე 2 მ., მაქსიმე დეასაძე 1 მ., გიორგი დეასაძე 50 კ., კოლა ქუთათელაძე 1 მან., ეარამან ბაშაძე 2 მ., № 1 მ., ეზეკიელ ოშხნელი 50 კ., ნესტორ კაკაბაძე 2 მ. ეარამან ლეკეკა 50 კ., მათე ბეკლაძე 50 კ., ნესტორ ჩხიკვაძე 1 მ., დიმიტრი ბაკრაძე 1 მ.

სულ თვრამეტი (18) მანეთი. ეს ფული უკვე გირგვეკა ხსენებულ სკოლას.

თ. კიკვიძე

ქ. ოზურგეთი
1892 წ. დეკემბრის 2

დეპეშა

9 დეკემბერი

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. იმპერიის კანცლერი ამტკიცებს, აუცილებლად საჭიროა

თხვაო, ისე უხერხულად და თავ-აუღებლად ჰკითხა ქრისტინემ.

ქრისტინეს უხერხულმა კითხვამ კარგი შემთხვევა მისცა იასონს იმ საგანზედ გადაეტანა ლაპარაკი, რომელიც დიდი ხანია სწყურიდა.

— რა მეგობრები? როგორც შეფერის ჩვენისთანა ახალგაზდებს. წაღან ქე არ მღერიდი, ერთი ვინმე სულიერი თლად ქვეყანას მირჩევნიაო, ნეტა არ იქნება, გამაბედნიერო და მე ვიყო ი ერთი ვინმე სულიერი? თქვი ქრისტინე, თქვი, გენაცვალე მაგ ლამაზ პირშ!—აღტაცებით დაატანა იასონმა, რომელიც ისე უმზერდა ამ დროს ქრისტინეს, რომ იფიქრებდით, ეს-ეს არის, თვალში უნდა ჩაიძვრინოსო.

ქრისტინე ისევ-ისევ თავ-ჩაღუნული იდგა და ხმას არ იღებდა. მხოლოდ მისი მძლავრი სუნთქვა ამტკიცებდა, რომ გული ძლიერ უფეფლავდა.

— მითხარი-მეთქი, ქრისტინე, მითხარი!

— რა გითხრა? თუ იკადრებ, შენ ძამიეი ხარ ჩემი, ნენაის ძუძუ ნაკეამი,—მღელვარების ხმით უთხრა ქრისტინემ.

— ძამიეი—დაიეი რათ მინდა მე! სხვაი მითხარი რამე, იმ ლამაზ გულმკერდში გენაცვალოს იასონი! მითხარი, მითხარი, ვისთვის გინდა ამ სილამაზე პირი? მოკვტეს იასონი, შენი თავი თუ სხვა ვინმეს დაანებოს?!. ეზოში ყვავილი ქონდეს კაცს და სხვამ მოწყვიტოს! აბა მე სისხლი არ მექონია! მითხარი, სხვისი ხარ თუ ჩემი?—უფრო და უფრო გატაცებით ეკითხებოდა იასონ.

— ჩემი შეცთენა, მე რომ, კაი, შეცთი, შენ არ უნდა იკადრო და სხვაი, მე რა ვიცი, რა მოხერხთება ჩვენ ში?... კიდევ რაღაც უნდა ეთქვა ქრისტინეს, მაგრამ ვეღარ მოახერხა.

— რა მოხერხთება?.. რა მოხერხთება?.. იასონ ერთ წამს დაფიქრდა და შემდეგ სთქვა:—რა მოხერხთება და ცოლ-ქმრობა. ახლა! ახლა რას იტყვი?..

„ცოლ-ქმრობის“ გაგონებაზე ქრისტინე შეკრთა, თითქო გულში ნატკენი ადგილი ჰქონდეა და იქ გაჰკარა რაღაცამო, სახეზე ალმური აუვიდა, თვალები რაღაც იმედით გაუბრწყინდა და ერთი ისეთ ტკბილად შეჰხედა იასონს, თითქო, ეს-ეს არის, ენა უთქმელად ხელში ჩაუვარდებაო. მაგრამ საჩქაროდ შეეცვალა ეს იმედიანი სახის მეტყველება უიმედობით, წარბები მოჰხარა გაჯავრებით და თვალებში დაეტყო, რომ თავის დაცვის ძლიერი ინსტიკტი გაღვიძა ყმაწვილს ქალს.

— ცრუობაა, ცრუობა, ცრუობა! მატყუუბ! არ ვიცი, მგონია, რომ მატყუუბ! გაბედულად და მქისედ უთხრა მან იასონს.

— რა ცხარი ყოფილხარ! რომ დაგიფიცო, მაინც იფიქრებ, მატყუებსო? სანდო-დამარწმუნებელის კილოთი ჰკითხა იასონმა.

— არა, ტყუილა ნუ ფიცულობ, არ მინდა ფიცი, ვიცი არ მოხერხთება, არ მოხერხთება! რა საფიქრებელია! ვინ შენ და ვინ მე! არ მოხერხთება!

— მითხარი, აბა, რეზა არ მოხერხთება? რა არის მოუხერხებელი?

— რა არის? რა ვიცი, ათასი! შენ ამისთანაი კაი ხარ, აზნაურის შვილი, ნასტავლი, მე ერთი საცოდავი ყმაძის ქალი, ერთი ანბანიც არ ვიცი!.. არა, რა საფიქრებელია!.. მერე კიდევ ნენაის ძუძუ ნაკეამი! არა, არ იქნება-მეთქი!

ქრისტინე რომ ამ ლაპარაკში იყო, იასონმა ამოიღო უბიდან წითელი ხავერდში გამოკერილი პატარა საკიბე ხატი, რომელიც მამამ აჩუქა იასონს და რომელსაც იასონი მუდამ ატარებდა ვერცხლის ძეწკვით სათითან ერთად, მოხადა პირი, დაიწერა პირჯვარი და დაიწყო:

— ვფიცავ ამ ნაწილიან ღვთის მშობლის ხატს, რომ მე, შენს გარდა, სხვაი ქალი არ შევრთოო. ამის მაღლი გაუწყრეს ჩვენში მოღალატეს! აჰა, გჯერა თუ არა?

ქრისტინე პირველად ისე გააკვირვა იასონის ამ გვარმა საქციელმა, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა იმ წამს. შემდეგ-კი რაღაც გაკვირვებულ-აღტაცებულის ხმით წამოიძახა:—რა ქენი, იასონაი, მე რა შენი შესაფერი ვარ! ღმერთო!..

— ის მე ვიცი, რაც შესაფერი ხარ. ამ სიტყვებით მიეიდა ის ქრისტინესთან, ქალმაც უწინაღმდეგოდ გადაეუფა თავი და ორთავეს ჩაუტკბო ტუჩები მხურვალე და ტკბილმა კოცნამ.

— იცი, ქრისტინე, ხვალ ქედისყურაში რომ დიდი წიფელაა, ხომ იცი, დიდ ზზუნას იქით, წყლის პირში, იქინეი მოდი.

— დედავ, დედავ, მეშინია! იქინეი საშინელი ყრუი ადგილია! მართლა და რაღაც შიშის გამომხატველ ღიმილით სთქვა ქრისტინემ.

— მაინც გეშინია? აბა ჩემი ფიცი აღარაფერი ყოფილა!—უსაყვედურა იასონმა.

— არა, არ მეშინია. მარა გაფიცებ იმ ღვთიშობლის ხატს, ჯვარის დაწერამდი და-ძმასავით უნდა ვიყოთ. გეყურება, იასონ, და-ძმასავით-მეთქი!

— რავაც კვიდრი დაი და ძმაი. ოღონდა იმ ჟუჟუნა თვალებში გიყურო და სხვას მერეც მოვესწრობი.—უთხრა იასონმა და აკოცა თვალებში.

ის იყო, იმ დღიდან დაწყებული ქრისტინე და იასონ დადიოდნენ ერთმანეთთან პაემანზე, დიდი წიფლის ძირში. მართალია, მთი პირობა ჯვარის დაწერამდე და-ძმურად ყოფნის შესახებ საზღვარს გადასცილდა, მაგრამ რა უშავდა? იასონის ლაპარაკი ამტკიცებდა, რომ ჯვარის წერაც შორს აღარ იყო.

ე. ნინოშვილი
(შემდეგი იქნება

ქვეითა ჯარის ბათალიონების მომატება და მეოთხე ბათალიონებისა და სათადარიგო ბატარეიების დაარსებაო. კანცლერს იმედი აქვს, რომ კომისიების მიერ ამ საქმის განხილვა საკმარისად დოუმტაციებს ყველას საშეიერო კანონ-პროექტის საქიროებას; წინაალმდეგ შემთხვევაშია, ამბობს კანცლერი, იძულებულნი ვიქნებიო, მთელი კანონ-პროექტი უკან დავიბრუნოთო; სხვა-და-სხვა დასების აზრი ამ საქმის შესახებ ჯერ რიგიანად არ არის გამოაშკარავებული.

უკანასკნელ დღეებში ლეიპციგს რამდენიმე ანარქისტი შეიპყრეს, ხოლო ალტონს—23 კაცი; ამასთანავე მაინციდგან იუწყებიან, რომ იქ ორშაბათს ანარქისტებმა უწესოება მოახდინეს, რადგანაც ადგილობრივმა პოლიციამ კრება აღუკრძალა.

პარიჟი. „Figaro“ ამტკიცებს, რომ გუშინ საფრანგეთ-ეგვიპტეს ბანკის მმართველობის ქალაღდების გაჩხრეკის დროს აღმოჩნდა უტყუარი საბუთები დასამტკიცებლად იმისა, რომ პარლამენტის რამდენსამე დეპუტატს ქრთამი აუღიათ. ეს საბუთის ქალაღდები „Sieclis“ აზრით, ეკუთვნის განსვენებულს ლევი კრეიეს, რომელიც პანამის საზოგადოების აგენტად ყოფილა.

დღეს დილით ხმა გავრცელდა, პანამის საქმის გამო კიდევ რამდენსამე გაელენიან კაცს სახლები გაუჩხრიკეს ჭ რამდენიმე კაცი შეიპყრესო. ფლოკემ განაცხადა პალატაში, თხოვნა მომიციდა, ნება დაგვრთეთ სამართალში იქმნენ მიცემულნი ხუთი დეპუტატი: რუვიე, ეიულ როში, არენი, პრუ და დიუგე de la Faconnerie-ი. პალატამ გადასწყვიტა ამ საქმის შესახებ ბიუროში შეავიკრიბნეთო, პალატის კრება-კი შეავჩეროთო. სენატში ლეროიეს სთხოვენ, ნება მოგვეცით, სასამართლოში მივცეთ ლეონ რენო, ალბერტ გრევი, დუბალ ტევენე და დეგესიო.

სოფიიდგან მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ სტამბულოს უთქვამს, კონსტიტუციის იმ მუხლის შეცვლა რომელიც ტახტის მემკვიდრის სარწმუნოებას შეეხება, შესაძლებელად ჰხდის მთავარის ქორწინებას, რომელსაც თვით ერიც მოწადინებულიაო.

9 დეკემბერი

პეტერბურგი. უმცროსი ფლაგმანი კონტრ-ადმირალი გილლებრანტი დაინიშნა ჩერნომორსკის ფლოტისა და შავის ზღვის ნავთ-სადგურების უფროსად.

რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელ საზოგადოების 25 წლის შესრულების გამო მომხდარ სადღესასწაულო კრებაზედ ამავე საზოგადოების უთვგუსტოესმა მფარველმა, დიდმა მთავარმა ალექსი ალექსანდრეს ძემ ბრძანა, რომ ხელმწიფე იმპერატორს წარუდგინე საზოგადოებას ანგარიში და მისმა უდიდებულესობიმ დამთავალა, ჩემ მიერ საზოგადოებას მადლობა გამოუცხადეო. ეს სიტყვები კრებამ დიდის აღტაცებით მიიღო. სადღესასწაულო კრებაზედ წარმოსთქვეს სიტყვები გრაფმა იგნატიევმა და პროფესორმა მენდელეევმა; კრებას მიუვიდა ბევრი მილოცვა და ადრესები.

პეტერბურგში უკვე 200 მკურნალი შეიკრიბა იმ გუბერნიებიდგან, სადაც ხოლერა იყო, რუსეთის მკურნალთა კრებაზედ დასასწრებად. კრება შემდეგ საგნებს განიხილავს: სად უფრო მოსალოდნელია მომავალ წელს ხოლერა გაჩნდეს, ან სადგან სად გადავა; სად უფრო საჭიროა პირველად შეებრძოლონ ხოლერას, რა ღონისძიება და როგორი წამლები უფრო საუკეთესოა ხოლერის წინაალმდეგ და რამდენი მკურნალი და სანიტარი დასჭირდება რუსეთს ხოლერასთან საბრძოლელად.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ მომავალ წლის სავარაუდო ხარჯი აღწერით, სახელმწიფო ბიუჯეტს დეფიციტი არ ექნება; პირ-იქით შემოსავალმა 10 მილიონით უნდა გადაეჭარბოს გასავალსა; ამბობენ, რომ იქნება შემოსავალი გასავალზედ 50 მილიონნითაც მეტი იყოსო.

პარიჟი. გამოცხადებულია, რომ დაგომეის ნაპირებიდგან ჯარი დავაბრუნოთო. პანამის საზოგადოების მმართველობის წევრი კოტტიუ პაპარიეს დაბრუნდა და თავის თავად სასამართლოში განაცხადა.

პალატაში რუვიემ განაცხადა, რომ, როცა მინისტრად ვიყავი, რესპუბლიკის დასაცველად მონიტეპიული ფონდი არა მყოფნდა და ამიტომ მეგობრის შემწეობით ხელს ვიმართავდიო. პალატამ მიიღო მოხსენება დამნაშავეთა სამართალში მიცემის შესახებ. დერულედმა განაცხადა, გერცს სპატენი ლეგიონის ორდენი უნდა ჩამოერთვასო; იუსტიციის მინისტრმა სთქვა, გერცს სპატიო ლეგიონის ორდენის კაპიტულას სასასამართლოს გადავცემ და იმან გაასამართლოსო.

10 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია სასულმწიფო სასწრაფ კარდაწყვეტილება: ნაკოუულობას კარდასდეს ჭეტეზა 15 დეკემბრადგან 1892 წ. მსუბუქს 60 გ., ძმაძეს 50 გ. ფუთზე. ამ ვადამდე ცნობაში უნდა იყოს მოყვანილი მომატებულის ჭეტეზის კარდასსდელად უკვლა ამ საარი ნაკოი, რომელიც გზაში, საწყობებში და საკაკრო ადგილებშია, კარდა იმ საკაკროებისა, სადაც 30 ფუთზედ მეტი არ აღმოჩნდება. რაც 15 დეკემბრეს ნაკოუულობა აღმოჩნდება 20 გ. კარდასდება ფუთზე. ეინც დამალეს ნაკოუულობასა, ჭეტეზი არ გადაეასდოო, იმას დამნდელი წარომეკეს, ან მისი ფასი კარდასდეს და ჯარიმაც გამოეთმეკეთ ერთი ორად.

პეტერბურგი. „Бирж. Вѣд.“ იუწყება, რომ 1894 წლიდგან შაქარზედ ჭეტეზი მოეტანებაო.

პეტერბურგის ტროიცკის ხიდის 16 პროკეტიდგან, რომელნიც კონკურსზედ იყვნენ წარდგენილნი, პირველ პრემიას (6000 მანეთი) ღირსად აღიარეს სეფერნაკეთის ინჟენერის ეიფელის პროექტი; მეორე პრემია, (3000 მან.) მიეცემა რუსეთის ინჟენერს ლეშბეკსა და ბოგბეკს, მესამე (1500 მან.)—ბოდგრაის ინჟენერს მაჩიდოვს.

პეტერბურგი. ღდეს დაიწყო პირველი კრება ხეროთ-მოძღვრობა. შეკრებაა 400-მდე წევრი. შემდეგ გაამართა სსარხიტექტურო გამოფენა.

პარიჟი. სენატის კომისიამ, დანიშნა გრიფე საქმის მომხსენებლად. კომისია ამ აზრისა, რომ ის სენატორები, რომლებზედაც ეჭვია შეტანილი, სამართალში უნდა მეცნენო.

პარიჟი. ამბობენ რომ ბუდანეველნი დეპუტატნი: ნაკე, სენ-მარტენი, ლაგერრი და ლორა სამართალში იქნებიან მიცემულნიო.

ПЕТЕРБУРГИС ПИРЕА, 8 ДЕКЕМБ.

	მეოდგან ლს.	გაყიდვისა ლს.	ბაზრისა ლს.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო	$7_{,97}$	$8_{,00}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები	$159^1/_4$	160	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	$1_{,08}$	$1_{,19}$	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	243
—მეორისა	— ,,	— ,,	$221^1/_2$
სახელმწიფო ოვადა-ანგარიშის ბანკის მომგებ. ფურცელი	192	— ,,	— ,,
გირაგნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	— ,,	— ,,	— ,,
5%	— ,,	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

გამოსაცემი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაკოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაკოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეიკლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეიკლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. სამშაბათობით: დღისით 4 საათზე სოხუმისა და ნოვოროსსიისკეთ.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსიისკსა და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით კერჩსა და ნოვოროსსიისკეთ.

პარასკევობით: საღამოთი შორის გზით ყველა ნავთსადგურებში შეიკლის.

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

აგადმყოფების მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

 კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—146)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ИВЕРИА“

1893 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამითი, რა პროგრამმითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვეზედ	10 მ.—კ.	6 თვეზედ	6 მ.—კ.
11 ,,	9 ,, 50,,	5 ,,	5 ,, 50,,
10 ,,	8 ,, 75,,	4 ,,	4 ,, 75,,
9 ,,	8 ,, —,,	3 ,,	3 ,, 50,,
8 ,,	7 ,, 25,,	2 ,,	2 ,, 75,,
7 ,,	6 ,, 50,,	1 ,,	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლითა. სოფლის მასწავლებელთ „ИВЕРИА“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეშე მცხოვრებთ უნდა დაბარონ გაზეთი შემდეგის ადრესითა: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვეზე განშვალობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, იმას მხოლოდ შემდეგის თვეზე პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიკავებს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვეის განმავლობაში მაბეჭდავსა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ეფლარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ბუკინაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თაკ. გრუზინსკისეულის სახლებში. № 21.



VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი დიკეორი ბენედიქტინა)

Fécamp-ის საბატონო (საფრანგეთში)

საუკეთო, ადამიანის მომლონიერებელი, საკმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.

უკეთესად სუფეთქოს დიკეორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Etranger
Alexandre aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჭარნდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან, უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

იყიდება საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში ჭ ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

(მეოთხე წელიწადი)

გამოვა 1893 წელსაც, ორ თვეში ერთხელ, იმავე პროგრამმითი, როგორც აქამდე.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ხელის მოწერა შეიძლება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ განცელარიაში (Дворцовая ул. д. зем. банка № 125.), ქართველთ სახალხო ბიბლიოთეკაში. ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Красногорская ул. д. Назарова № 7.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის გაზეთის სააგენტოში.

5) საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго Дѣтскаго Журнала „Джеджили.“

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილი-ფრეფელისა.

რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა

კანტორა უმთავრესი სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვის სახლში.

(30—24) ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ფ. ტარანოვი.

Доз. ценз. Тифлисъ, 10-го Декабря 1892 г. სტამბა მ. ზარაძისა. რედაქტ ორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.